კულტურა
CULTURE

The Tree of Life Archetype in Georgian Cultural Space

სიცოცხლის ხის არქეტიპი ქართულ კულტურულ სივრცეში

Nino Kharchilava
Batumi Art State University
Associate Professor
+995 593482486; kharchilavanin@gmail.com
ORCID: 0009-0000-3515-3259

Abstract. The aim of the presented work is a multifaceted study of the "Tree of Life", as one of the earliest and universal archetypes, in the Georgian cultural context. The research covers the process of transformation of the symbol from ancient times to the present day, which is based on an interdisciplinary analysis of archaeological, historical and ethnographic sources. The work emphasizes the religious significance of the "Tree of Life", in the pagan worldview and its subsequent syncretic fusion with Christian symbolism. The study of archaeological materials (bronze artifacts, stone reliefs) reveals the dynamics of the symbol, while ethnographic data (ornamentation, ritual practices, mythological traditions) demonstrate the influence of this archetype on Georgian everyday culture and self-consciousness. The study showed that in Georgian culture, the "Tree of Life" is not a static image but a living, evolutionary phenomenon that unites the connection between earth and sky, the material and the spiritual, which is an integral component of the Georgian worldview.

Keywords: Tree of Life, archetype, Georgian culture, symbolism, syncretism.

ნინო ხარჩილავა
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
+995 593482486; kharchilavanin@gmail.com
ORCID: 0009-0000-3515-3259

აბსტრაქტი. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია „სიცოცხლის ხის", როგორც ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და უნივერსალური არქეტიპის, მრავალმხრივი შესწავლა ქართულ კულტურულ კონტექსტში. კვლევა მოიცავს სიმბოლოს ტრანსფორმაციის პროცესს უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, რაც ეყრდნობა არქეოლოგიური,

ისტორიული და ეთნოგრაფიული წყაროების ინტერდისციპლინურ ანალიზს. ნაშრომში ხაზგასმულია „სიცოცხლის ხის“ რელიგიური დატვირთვა წარმართულ მსოფლმხედველობაში და მისი შემდგომი სინკრეტული შერწყმა ქრისტიანულ სიმბოლიკასთან. არქეოლოგიური მასალების (ბრინჯაოს არტეფაქტები, ქვაზე ნაკვეთი რელიეფები) შესწავლა ცხადყოფს სიმბოლოს დინამიკას, ხოლო ეთნოგრაფიული მონაცემები (ორნამენტიკა, სარიტუალო პრაქტიკები, მითოლოგიური გადმოცემები) წარმოაჩენს ამ არქეტიპის გავლენას ქართულ ყოფით კულტურასა და თვითშეგნებაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ კულტურაში „სიცოცხლის ხე“ არ არის სტატიკური სახე, არამედ ცოცხალი, ევოლუციური ფენომენია, რომელიც აერთიანებს მიწისა და ცის, მატერიალურისა და სულიერის კავშირს, რაც ქართული მსოფლმხედველობის განუყოფელი კომპონენტია.

საკვანძო სიტყვები: სიცოცხლის ხე, არქეტიპი, ქართული კულტურა, სიმბოლიკა, სინკრეტიზმი.

შესავალი. კულტურის ისტორიაში ცოტაა ისეთი მრავალმხრივი და უნივერსალური სიმბოლო, როგორიცაა „სიცოცხლის ხე“. იგი წარმოადგენს მსოფლიო მითოლოგიური აზროვნების ფუნდამენტურ არქეტიპს, რომელიც აერთიანებს იდეებს სამყაროს ღერძის (Axis Mundi), სიცოცხლის ციკლურობისა და უკვდავების შესახებ. ქართული კულტურული სივრცე, თავისი მრავალსაუკუნოვანი ფესვებითა და უწყვეტი განვითარებით, გამორჩეულ ადგილს იკავებს ამ სიმბოლოს ინტერპრეტაციისა და ტრანსფორმაციის პროცესში.

ქართულ მსოფლმხედველობაში „სიცოცხლის ხე“ არ არის მხოლოდ აბსტრაქტული გამოსახულება ან დეკორატიული ელემენტი; ეს არის „მეხსიერების კოდი“, რომელიც აკავშირებს წინაპართა მითოლოგიურ წარმოდგენებს თანამედროვე ეთნოგრაფიულ რეალობასთან. არქეოლოგიური მონაცემები – ბრინჯაოს ხანის საკულტო ნივთებიდან დაწყებული, შუა საუკუნეების არქიტექტურული რელიეფებით დასრულებული – ნათლად აჩვენებს სიმბოლოს დინამიკას, ხოლო ხალხური ორნამენტიკა და სარიტუალო ტრადიციები მას ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად აქცევს.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს „სიცოცხლის ხის“ არქეტიპის ევოლუცია საქართველოში და გამოკვეთოს მისი ადგილი ეროვნულ სულიერ და მატერიალურ კულტურაში. კვლევა ემყარება ინტერდისციპლინურ მიდგომას: ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების სინთეზს. საინტერესოა როგორ შეინარჩუნა სიმბოლომ იდენტობა საუკუნეთა განმავლობაში, რა გზით განიცადა სინკრეტიზმი ქრისტიანულ დოგმატიკასთან და რა მნიშვნელობას ატარებს ის დღევანდელი კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში.

მსჯელობა. ქართულ კულტურაში ფართოდ იყო გავრცელებული წმინდა ხის თაყვანისცემის ჩვეულება. ეთნოგრაფიულმა მასალებმა შემოგვინახა მრავალი არქაული წეს-ჩვეულება, რომლებიც ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების სხვადასხვა ასპექტს ავლენს. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციათა დიდი ნაწილი საუკუნეების

მანძილზე ტრანსფორმირდა ან ფრაგმენტული სახით შემოგვრჩა, ეთნოგრაფიული კვლევა ხშირად გვაძლევს მათი ფუნქციური დატვირთვის დადგენის საშუალებას. ხის კულტის ნიშნები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ქართული წარმართული კულტურის არქეტიპები ქრისტიანულ ცნობიერებაში ბუნებრივი და უმტკივნეულო გზით ჩაინაცვლა, რაც თავისებურად აისახა სასულიერო ძეგლებში.

საქართველოში წმინდა ხის კულტი სხვადასხვა ფორმით არსებობდა. უძველესი დროიდან ქართველები პატივს მიაგებდნენ ხეებს, წმინდა ტყეებს, ქვებსა და მთის მწვერვალებს. გამოიკვეთა ხის თაყვანისცემის ორი ძირითადი საფეხური: საკრალური ხე და საკრალური ტყე. წმინდა ხეების (მუხა, ცაცხვი, რცხილა, ურთხელი, თხილი, კაკალი და სხვ.) ძირში სრულდებოდა საოჯახო თუ სათემო ლოცვები და იმართებოდა საზოგადოებრივი შეკრებები.

საგულისხმოა, რომ ხის საკულტო დატვირთვა ქრისტიანობის პირობებშიც საკმაოდ მყარად შენარჩუნდა რიტუალების სახით. აღსანიშნავია, რომ უძველეს სალოცავებში ხის დარგვა და მოვლა ხშირად უფრო მნიშვნელოვან საკულტო აქტად მიიჩნეოდა, ვიდრე ცხოველის შეწირვა. ხის თაყვანისცემის გადმონაშთებს ყოფით ცხოვრებაშიც ვხვდებით: მაგალითად, ავადმყოფის ტაბლაზე აღმართული „ბატონების ხე“ ან მიცვალებულის სახელზე ჩამოქნილი „მეგრული კელაპტარი“ (ხარჩილავა, 2023:143). აფხაზეთში არსებული ტრადიცია მიცვალებულის ხეზე გადგმისა კი, სულის „მოჩვენებითი უკვდავების“ ერთგვარი გამოხატულებაა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1941:172).

„სიცოცხლის ხის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა საახალწლო რიტუალური ატრიბუტი – ჩიჩილაკი. ვ. ბარდაველიძე ჩიჩილაკში ხედავს ქართველთა უძველეს რწმენას მსოფლიო ხის შესახებ, რომელიც მზესთან ასოცირდება (ბარდაველიძე, 2006:82). მზე, როგორც უზენაესი ღვთაება, ქართული წარმართული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი საწყისია. ხეთა თაყვანისცემა მჭიდროდ უკავშირდება მნათობთა კულტს; საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, არსებობდა ხის ჯიშები, რომლებიც მზეს განასახიერებდა (მაკალათია, 1927:36). ამრიგად, ჩიჩილაკი ერთდროულად ავლენს ხის კულტის განვითარების უძველეს საფეხურს და ნაყოფიერების ასტრალურ ღვთაებებთან, კერძოდ, მზის კულტთან კავშირს.

წმინდა ხეების თაყვანისცემა საქართველოში სათავეს იღებს ტომობრივი ყოფის პერიოდიდან, როდესაც ხეები ტომის ტოტემურ მცენარეებად ითვლებოდა. შემდგომში ისინი სათაყვანებელ არსებებად იქცნენ, არსებობდა რწმენა, რომ ხეები ადამიანის მსგავსად ცოცხალი არსებები იყვნენ (ბარდაველიძე, 1957:10). წმინდა ხის სამკურნალო თვისებები დადასტურებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიულ მასალებში (მაკალათია, 1985:137; სირაძე, 1987:112-125).

მიუხედავად რეგიონალური მრავალფეროვნებისა, მუხა თაყვანისცემის გამორჩეულ ობიექტს წარმოადგენდა, როგორც უზენაესი ღვთაებების სადგომი. ამგვარ ხეებთან სრულდებოდა რიტუალები, როგორც სიცოცხლისა და ნაყოფიერების მომნიჭებელ ობიექტებს, მათ საგანგებოდ რთავდნენ და რიტუალების ცენტრალურ სიმბოლოდ აქცევდნენ (მაკალათია, 1927:36; რუხაძე, 1968:66; ქისტაური, 2012:29; გიორგაძე, 1888:1). მუხის განსაკუთრებულ სტატუსზე მეტყველებს სამეგრელოს მაგალითები, სადაც წმინდა მუხების ადგილას ეკლესიები აშენდა (Веиденбаум, 1901:90; შარდენი, 1975:147; ლომია-

ბარდაველიძე, 1926-1927:171). ურთხელის ხის კულტიც ფართოდ იყო გავრცელებული, მას ხშირად სალოცავებთან რგავდნენ და მიცვალებულთა კულტს უკავშირებდნენ (ხაზარაძე, ცაგარეიშვილი, 1988:173).

ქართული ეთნოგრაფიული მასალა უმნიშვნელოვანესია წინაქრისტიანული რწმენის რეკონსტრუქციისათვის. წმინდა ხე წარმოადგენს უძველეს საკულტო ობიექტს, რომელიც სხვადასხვა ტრადიციაში გააზრებულია, როგორც სიცოცხლის, სიკვდილის, განახლებისა და ღვთაების სადგომი სიმბოლო. დროთა განმავლობაში, მიუხედავად რიტუალების შინაარსის ნაწილობრივი გაფერმკრთალებისა, „სიცოცხლის ხის“ მნიშვნელობა თანამედროვე ყოფაშიც ინარჩუნებს აქტუალობას, თუმცა მისი ფუნქციური დატვირთვა შესუსტებულია.

ხის სემანტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „სიცოცხლის ხის“ სახე, რომელიც უძველესი დროიდან ფიქსირდება. მესოპოტამიური მითები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ბიბლიურ ტექსტებზე, მრავალ სიმბოლოს შეიცავს. მაგალითად, გილგამეშის ეპოსში გმირი უკვდავების ძიებაში მიემართება კედარის ტყისაკენ, რომელიც „უკვდავი კაცის ქვეყანაა“ და ღვთაება იშთარის სამფლობელო (გილგამეშის ეპოსი, 1963:199-202). ძვ. წ. III ათასწლეულის გუდეას სტელაზე მოხსენიებულია ცის შესასვლელში მდგარი „სიცოცხლის ხე“ (Gerard, 1989:96-98). ეგვიპტელთათვის კი ხის ნაყოფის მიღება მარადიულ სიცოცხლესთან ზიარებას ნიშნავდა (Gerard, 1989:37-38).

ხშირად „სიცოცხლის ხესთან“ გამოსახავდნენ ჯიხვებს, თხებს, ირმებსა თუ ხარებს. მსგავსი სიუჟეტის გემა-ინტალიოები საქართველოში ძვ. წ. V საუკუნიდან ახ. წ. III-IV საუკუნეებამდე პერიოდით თარიღდება (ლორთქიფანიძე, 1958:41-45; რამიშვილი, 1983:93). გ. ჩიტაიას დაკვირვებით, თუ ხის აქეთ-იქით ქალი და მამაკაცია გამოსახული, სიცოცხლის ხე ნაყოფიერების ძალის მატარებლად განიხილება (ჩიტაია, 1941:319). წმინდა ხეების პატივისცემა დამახასიათებელი იყო ებრაელებისთვისაც (დიღმელაშვილი, 2010:123).

საქართველოში ხის კულტის არსებობა ძვ. წ. III ათასწლეულიდან დასტურდება (მაგ. თრიალეთის ვერცხლის საკულტო სასმისი, Куфтин, 1941:87-94). შემდგომში იგი ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტი ხდება, რაც ხშირად ირმის რქებითაც არის ნაჩვენები (ფანცხავა, 1988:41-52).

წარმართულ რწმენებში ხეებს სასწაულებრივ ძალას მიაწერდნენ, რაც იმდენად ღრმად იყო ფესვგადგმული, რომ აისახა ქრისტიანულ ლიტერატურაშიც, მათ შორის „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ (დაჭრილი ირმების განკურნების ეპიზოდი). ლეონტი მროველი აღწერს სასწაულმოქმედი ალვის ხის მოძიებასა და მცხეთაში ჩამობრძანებას, რის შემდეგაც მისგან ჯვარი დაამზადეს. საინტერესოა, რომ ეს ხე გაზაფხულის, განახლებისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ წარმოგვიდგება (ლეონტი მროველი, 1955:119-120). ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ წმინდა ნინომ პირველ რიგში სწორედ იმ ხისგან დაამზადა ჯვარი, რომლის თაყვანისცემაც ფართოდ იყო გავრცელებული ქართველებში.

ქრისტიანული სამყარო „სიცოცხლის ხეში“ სამოთხის სიმბოლოს ხედავს (Уваров, 2001:230). ამიტომაცაა, რომ ადრექრისტიანულ ხელოვნებაში (მოზაიკა, კატაკომბების მხატვრობა, რელიეფები, საკულტო ჭურჭელი) ხის გამოსახულება ხშირად გვხვდება. მაგალითად, სამთავროდან ნაპოვნი IV საუკუნის იმპორტული მინის პატერა ფარშევანგისა და პალმის გამოსახულებით (უგრელიძე, 1951:301-314), ან მცხეთიდან აღმოჩენილი

ადგილობრივი მინის ჭურჭელი ჯვრებისა და ხის სტილიზებული გამოსახულებებით (დავლიანიძე, 1967:94-101; უგრელიძე, 1967:44).

ქართულ ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ხეს ზოგჯერ აბსტრაქტულად გამოხატავდნენ, თუმცა ხშირად სახეობაც იკვეთებოდა: ვაზი მამა-ღმერთის განსახიერებად, ხოლო მარადმწვანე ხეები ქრისტეს სიმბოლოდ მოიაზრებოდა. პალმა, როგორც მარადმწვანე მცენარე, ნაყოფიერების სიმბოლოსთან ერთად, სამოთხის მარადიული ცხოვრების შეხსენებაა (დიღმელაშვილი, 2010:125). ბიჭვინთის მოზაიკაზე გამოსახული პალმა და ვაზი (რომელსაც ირემი ეტანება) ქრისტიანს მარადიულობის საიდუმლოებისკენ უთითებს (დიღმელაშვილი, 2005:48). პალმის სიმბოლო საქართველოში იშვიათია, რადგან იგი უცხო იყო ადგილობრივი ფლორისთვის, ამიტომ მას ხშირად ანაცვლებდნენ ქართველებისთვის ნაცნობი მცენარეებით.

ქრისტიანობაში „სიცოცხლის ხე“ ღვთიურ ძალასა და ქრისტეს ეშმაკზე გამარჯვებას დაუკავშირდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სვეტიცხოვლის ეზოში მიკვლეული IV საუკუნის ანტეფიქსი (ყიფიანი, 2001:40-44), სადაც გამოსახულია კვარცხლბეკზე აღმართული „სიცოცხლის ხე“, ბროწეულის ნაყოფითა და ჯვრისებრი ტოტებით.

ხის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გავრცელება საქართველოში, ქართულ წარმართულ ტრადიციებთან სინთეზით წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული „სიცოცხლის ხე“ ზოგადქრისტიანულ სემანტიკას ატარებს, ადგილობრივმა ძლიერმა საწესჩვეულებო კულტმა მას განსაკუთრებული დატვირთვა მიანიჭა, რამაც განსაზღვრა ქართული იკონოგრაფიის თავისებურება. წმინდა ხის კულტის რწმენა-წარმოდგენები, მეტად მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის წინაქრისტიანული რწმენის რეკონსტრუქციის მხრივ, წმინდა ხე უძველესი მითოლოგიური კულტმსახურების ობიექტია და იგი სხვადასხვა ტრადიციაში გააზრებულია, როგორც სიცოცხლის, სიკვდილისა და განახლების, ასევე ღვთაების სადგომი ადგილი და სიმბოლო (ხარჩილავა, 2019:518).

დასკვნა. ქართულ კულტურაში „სიცოცხლის ხის“ არქეტიპი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალო მხატვრული სახე ან დეკორატიული დეტალი; ეს არის დინამიკური, მუდმივად განვითარებადი ფენომენი, რომელიც ასახავს ადამიანის კოსმოლოგიურ ხედვას მიწიერი და ზეციური, ხორციელი და სულიერი სამყაროების ერთიანობის შესახებ. ქართულ კულტურაში ეს სიმბოლო წარმართული ხის კულტის ნიადაგზე ჩამოყალიბდა და ორგანულად შეერწყა ქრისტიანულ დოგმატიკას. ახალმა რელიგიამ არა მარტო შეინარჩუნა ძველი ტრადიცია, არამედ ახალი სემანტიკური ფენებით – უკვდავების, სამოთხის მინიშნებისა და ღვთიური გამარჯვების იდეებით – მნიშვნელოვნად გაამდიდრა იგი.

როგორც არქეოლოგიური მასალა (ბრინჯაოს ეპოქიდან დაწყებული შუა საუკუნეების არქიტექტურული რელიეფებით დამთავრებული), ისე ეთნოგრაფიული მონაცემები (სხვადახვა საოჯახო თუ საგვარეულო რიტუალები, ჩიჩილაკის სიმბოლიკა და ხის თაყვანისცემის გადმონაშთები) ცალსახად მიუთითებს ამ არქეტიპის ფუნდამენტურ როლზე ქართული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაში. მართალია, „სიცოცხლის ხე“ საერთო-სამყაროული მითოლოგიური კოდია, მაგრამ ქართულმა გარემომ, ადგილობრივმა ბუნებრივმა მრავალფეროვნებამ და ყოფითმა წეს-ჩვეულებებმა მას გამორჩეული, ლოკალური სახე მისცა, რაც სრულად აისახა ეროვნულ იკონოგრაფიაში.

ამრიგად, „სიცოცხლის ხე“ ქართული მსოფლმხედველობის ერთგვარი ღერძია, რომელიც აკავშირებს წარსულს აწმყოსთან. მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში განცდილი ფუნქციური ტრანსფორმაციისა, იგი კვლავაც რჩება ეროვნული იდენტობის მძლავრ მატარებლად და არ კარგავს თავის კულტურულ თუ სულიერ მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარდაველიძე ვ., უძველესი რელიგიური წარმოდგენები, თბ., 1957.

ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბარ-ბაბარ, თბ., 2006.

გიორგაძე პ., „აფხაზეთი და აფხაზნი“, ,,ივერია“, 1888.

გილგამეშის ეპოსი. აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზ. კიკნაძემ თ. გამყრელიძის რედაქციით. თბ., 1963.

დავლიანიძე ც. 1941 წელს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი მცხეთაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXVII-B. თბ., 1967.

დიღმელაშვილი ქ. ირმის სიმბოლოს საკითხისათვის საქართველოში. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. XXI. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005.

დიღმელაშვილი ქ., ქრისტიანული სიმბოლიკა I-VI სს. საქართველოში, დისერტაცია, თბ., 2010.

ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941

ლეონტი მროველი. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბ., 1955.

ლორთქიფანიძე მ. არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. II. თბ., 1958.

ლომია-ბარდაველიძე ვ., საქართველოს მუზეუმის მოამბე, თბ., 1926-1927.

მაკალათია ს., ფშავი, თბ., 1985.

რამიშვილი რ. ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით. ჟინვალი. I. თბ., 1983.

უგრელიძე ნ. ფარშევანგის გამოსახულებით შემკული მინის ჭურჭელი სამთავროდან. ჟ. მიმომხილველი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალი, II, თბ., 1951.

უგრელიძე ნ. ადრეულ შუასაუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის. თბ., 1967.

ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბ., 1988.

ყიფიანი გ. სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია. 2000 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების ანგარიშები. თბ., 2001.

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975.

რუხაძე ჯ., ზოგიერთი აგრარული წეს-ჩვეულება XIX საუკუნის დასავლეთ საქართველოში, მასალების საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XIV, თბ., 1968.

სირაძე რ., ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987ხაზარაძე ნ., ცაგარეიშვილი თ., ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები (ეია - ურთხელი), მნათობი, 2, თბ.,1988.

ჩიტაია გ., სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტსი, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941.

ხარჩილავა ნ., კელაპტარი - ქართულ ეთნოკულტურაში (გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), კრ: „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი, 2023.

ხარჩილავა ნ., წმინდა ხის თაყვანისცემა (გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), კრებული, კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2019.

ქისტაური გ., წარმართული რელიქტი V-X საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობასა და ხალხურ ქრისტიანობაში, თბ., 2012.

Веиденбаум Е. Г., Кавказские этюды, Тифлис, 1901.

Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. I. Тбилиси,1941.

Мачабели Р. Позднеантичная торевтика Грузии (по материалам торевтики первых веков нашей эры). Тбилиси, 1976.

Уваров А. С. Христианская символика. ч. I. (дополненное и переработанное издание). Москва-Санкт-Петербург, 2001.

Gerard André-Marie. Dictionnaire de la Bible. Paris: Éditions Robert Laffont, 1989.

.

REFERENCES:

bardavelidze v., udzvelesi religiuri ts'armodgenebi, tb., 1957.

bardavelidze v., kartvelta udzvelesi sarts'munoebis ist'oriidan, ghvtaeba barbar-babar, tb., 2006.

giorgadze p'., „apkhazeti da apkhazni“, ,,iveria“, 1888.

gilgameshis ep'osi. akaduridan targmna da k'oment'arebi daurto z. k'ik'nadzem t. gamqrelidzis redaktsiit. tb., 1963.

davlianidze ts. 1941 ts'els shemtkhvevit aghmochenili samarkhi mtskhetashi. sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis moambe. XXVII-B. tb., 1967.

dighmelashvili k. irmis simbolos sak'itkhisatvis sakartveloshi. k'ult'uris ist'oriisa da teoriis sak'itkhebi. XXI. tbilisis sakhelmts'ipo universit'et'i, 2005.

dighmelashvili k., krist'ianuli simbolik'a I-VI ss. sakartveloshi, disert'atsia, tb., 2010.

vakhusht'i bat'onishvili. aghts'era sameposa sakartvelosa. tbilisi, 1941.

leont'i mroveli. ninos mier kartlis moktseva. kartlis tskhovreba. t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. I. tb., 1955.

lortkipanidze m. armaziskhevsa da baginetze aghmochenili glip't'ik'uri dzeglebi. sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis gemebi. II. tb., 1958.

lomia-bardavelidze v., sakartvelos muzeumis moambe, tb., 1926-1927.

mak'alatia s., pshavi, tb., 1985.

ramishvili r. akhali zhinvalis samarovani da namosakhlari 1971-1973 ts'ts'. ganatkharis mikhedvit. zhinvali. I. tb., 1983.

ugrelidze n. parshevangis gamosakhulebit shemk'uli minis ch'urch'eli samtavrodan. zh. mimomkhilveli. sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis iv. javakhishvilis sakh. ist'oriis inst'it'ut'is zhurnali, II, tb., 1951.

ugrelidze n. adreul shuasauk'uneta minis ts'armoebis ist'oriisatvis. tb., 1967.

pantskhava l. k'olkhuri k'ult'uris mkhat'vruli khelosnobis dzeglebi. tb., 1988.

qipiani g. svet'itskhovlis ezoshi aghmochenili arkit'ekt'uruli det'alebi. mtskhetis arkeologiis inst'it'ut'is V sametsniero sesia. 2000 ts'lis savele arkeologiuri k'vleva-dziebis shedegebis angarishebi. tb., 2001.

zhan shardenis mogzauroba sp'arsetsa da aghmosavletis skhva kveqnebshi, tb., 1975.

rukhadze j., zogierti agraruli ts'es-chveuleba XIX sauk'unis dasavlet sakartveloshi, masalebis sakartvelos etnograpiisatvis, t'. XIV, tb., 1968.

siradze r., kartuli agiograpia, tb., 1987khazaradze n., tsagareishvili t., khetur-kartuli mitologiuri p'aralelebi (eia - urtkheli), mnatobi, 2, tb.,1988.

chit'aia g., sitsotskhlis khis mot'ivi lazur ornament'si, enimk'is moambe, X, tb., 1941.

kharchilava n., k'elap't'ari - kartul etnok'ult'urashi (galis raionis etnograpiuli masalebis mikhedvit), k'r: „arkivtmtsodneoba, ts'qarotmtsodneoba – t'endentsiebi da gamots'vevebi“, tbilisi, 2023.

kharchilava n., ts'minda khis taqvanistsema (galis raionis etnograpiuli masalebis mikhedvit), k'rebuli, k'ult'ura da khelovneba tanamedroveobis k'ont'ekst'shi, batumi, 2019.

kist'auri g., ts'armartuli relikt'i V-X sauk'uneebis kartul hagiograpiul mts'erlobasa da khalkhur krist'ianobashi, tb., 2012.

Веиденбаум Е. Г., Кавкасские этюды, Тифлис, 1901.

Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. I. Тбилиси,1941.

Мачабели Р. Позднеантичная торевтика Грузии (по материалам торевтики первых веков нашей эры). Тбилиси, 1976.

Уваров А. С. Христианская символика. ч. I. (дополненное и переработанное издание). Москва-Санкт-Петербург, 2001.

Gerard André-Marie. Dictionnaire de la Bible. Paris: Éditions Robert Laffont, 1989.

.